



რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ლანჩხუთის კლინიკის რეაბილიტაციის პროექტი

პროექტის მიზანი:

ლანჩხუთის კლინიკის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტაცია.

საფუძველი:

- მოქმედი კანონმდებლობა
- ისტორიული მონაცემების ანალიზი
- არსებული ბაზრის ანალიზი

ამჟამად კლინიკას გააჩნია ნებართვები შემდეგ მიმართულებებზე:

1.	სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა -გინეკოლოგია
2.	ნეონატოლოგია
3.	ინფექციური დაავადებების მკურნალობა
4.	ოტორინოლარინგოლოგია
5.	რენიმატია
6.	ოფთალმოლოგია
7.	ქირურგიული პროფილის საქმიანობა
8.	მეანობა
9.	ონკოლოგია
10.	რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა

არსებული ბაზრის მოკლე მიმოხილვა:

ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 35000 მოსახლეს.

რაიონში ფუნქციონირებს შპს „მედალფა“-ს 15 საწოლიანი მრავალპროფილური კლინიკა, რომელშიც გარდა მეან-გინეკოლოგიური მომსახურებისა, ხორციელდება შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ლანჩხუთის კლინიკის ანალოგიური სერვისები.

ქირურგიული მომსახურება მოსახლეობას ძირითადად მიეწოდება გეგმიური ოპერაციების სახით, ხოლო გადაუდებელი ქირურგია, ისევე როგორც სამეანო გინეკოლოგიური მომსახურება გადაუდებლად წარმოებს შპს „მედალფა“ ს მაღალტექნოლოგიურ კლინიკაში, შესაბამისად, მოსახლეობა განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, აღნიშნული კლინიკების გამტანუნარიანობის, გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ძირითადად მიმართავს ქუთაისის, ან კიდევ უფრო შორს მდებარე კლინიკების მომსახურებას.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ლანჩხუთის კლინიკა განთავსებულია დაახლოებით 1900 კვ/მ ამორტიზებულ შენობაში.

ადნინული შენობის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, ისევე როგორც ტექნიკური აღჭურვილობა მოძველებულია, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად და ვერ აკმაყოფილებს ქვეყანაში არსებულ მინიმალურ სტანდარტებს.

ამჟამად კლინიკა გაშლილია 25 საწოლზე, კლინიკის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება, რაც შეეხება სტაციონარის დატვირთვას, ძირითადი ინდიკატორების მიხედვით შემდეგი ხასიათისაა:

პერიოდი	სერვისი	გატარებული პაციენტის რაოდენობა	გატარებული საწოლ დღე	საწოლის დატვირთვა	საწოლზე საშუალო დაყოვნება	საწოლის ბრუნვა
იანვარი-ივლისი	სტაციონარული მომსახურება	301	785	31,4	3,14	2,6

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კლინიკის რეაბლიტაციასთან ერთად, საწოლთა ფონდის ოპტიმიზაცია 15 საწოლამდე.

საწოლთა ფონდის სტრუქტურა:

განყოფილება	საწოლის რაოდენობა
მიმღები/გადაუდებელი განყოფილება	3
რეანიმაცია	2
პოსტ-ოპერაციული პალატა	2
ბოქსირებული პალატა	1
პოლიპროფილური	7

ადმინისტრაციული სამსახური, სტაციონარის რეგისტრატურა,

ბოქსირებული პალატა

პერსონალი:

1. კლინიკის მენეჯერი
2. ფინანსური მენეჯერი
3. ოფისის მენეჯერი/HR
4. ფინანსური მენეჯერის თანაშემწე
5. მთავარი ექთანი
6. IT მენეჯერი
7. სამეურნეო და ინფრასტრუქტურის მენეჯერი

ადმინისტრაციული სამსახურისათვის მიზანშეწონილია კლინიკის ძირითადი ნაწილისაგან იზოლირებული სივრცის შექმნა პირველ სართულზე.

- კლინიკის მენეჯერი - ერთი ოთახი 15 კვ/მ, მენეჯერის ოთახის წინ 10 კვ/მ ოფისის მენეჯერი/HR - სთვის.
- ფინანსური მენეჯერი, ფინანსური მენეჯერის თანაშემწე - ერთი ოთახი 20 კვ/მ
- სამეურნეო და ინფრასტრუქტურის სამსახური - ერთი ოთახი 15 კვ/მ

- IT მენეჯერი - ერთი ოთახი 15 კვ/მ
- სათათბირო ოთახი, მცირე აუდიტორია - 25 ადამიანზე
- მთავარი ექთანი - ერთი ოთახი 15 კვ/მ
- არქივი - 40 კვ/მ სტელაჟებისათვის /დოკუმენტაციის დასამუშავებლად და არქივარიუსისათვის - 15 კვ/მ
- ორი ტულეტი პერსონალისათვის - 5 კვ/მ

ბუფეტი:

ერთდროულად 8 თანამშრომლის მომსახურებისათვის, აღჭურვილი მიკრო-ტალღური გამაცხელებელით და მადლდარიით.

საწყობი:

ორი დამოუკიდებელი განყოფილებით - მედიკამენტების, სამედიცინო სახარჯი და სამეურნეო საქონლისათვის. - 30 კვ/მ. აღჭურვილი რკინის კარით, გისოსებით, ჰაერის ზუნებრივი გადინების სისტემით.

ცალკე ფართი საწყობის თანამშრომლისათვის 8 კვ/მ.

სტაციონარის რეგისტრატურა:

გემიური სტაციონარული პაციენტების მიმღები განლაგებული პირველი სართულზე და ადაპტირებული შშმ-თვის, მოსაცდელი 10 პერსონაზე, , რეცეფცია ორი სამუშაო ადგილით.

სტაციონარის რეგისტრატურა იზორილებული უნდა იყოს ადმინისტრაციისა და პაციენტების მოთავსების სივრცისაგან.

ბოქსირებული პალატა:

ბოქსირებული პალატა 1 საწოლზე, ორი შესასვლელით (გარე და შიდა შესასვლელებით), პაციენტის პალატაში მოთავსებამდე სივრცეს უნდა გააჩნდეს 2 შოლუზი, დეკონტამინაციის ოთახი სველი წერტილებით, გათვალისწინებულ იქნეს უარყოფითი წნევა, ჰეპა-ფილტრები, აღჭურვილი სამედიცინო აირებით და ინდივიდუალური შესასვლელი ექმისათვის.

მეან-გინეკოლოგია:

დამოუკიდებელი სამეანო მიმღები, მიმღების რეგისტრაცია მიზანშეწონილია ფუნქციურად დაკავშირებული იყოს სტაციონარის რეგისტრატურასთან, მიმღები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ლიფტთან ახლოს.

ინდივიდუალური სამშობიარო ბლოკ-პალატა 20 კვ/მ, საოპერაციოსთან, პოსტ-ოპერაციულ და სარეანიამციო პალატების მიმდებარედ. გათვალისწინებულ იქნეს უარყოფითი წნევა, ჰეპა-ფილტრები, პალატა აღჭურვილი სამედიცინო აირებით.

ახალშობილთა გადაუდებელი თერაპიის პალატა ინდივიდუალურ სამშობიარო ბლოკ-პალატასთან მიმდებარედ, პალატა აღჭურვილი სამედიცინო აირებით, პალატა ექთნის პოსტით, გაყოფილი შუშის თეჯირით.

ახალშობილთა აცრის ოთახი - 10 კვ/მ,

სამშობიარო ბლოკ-პალატასთან მიმდებარედ საოპერაციო ბლოკი საკეისრო კვეთისათვის, აუცილებელია ზონირების პრინციპის დაცვა, დამოუკიდებელი შესასვლელები პაციენტისა და ექიმის სამომხმარებლო ტრასის გადაკვეთის თავიდან აცილების მიზნით.

მეან-გინეკოლოგიური განყოფილების მომიჯნავედ კატეგორიულად აკრძალულია რენტგენოლოგიური კაბინეტის განთავსება.

საოპერაციო ბლოკი შედგება: შლუზი, დეკონტამინაციის ოთახი, პაციენტის მოსამზადებელი სივრცე, წინასაოპერაციო და საოპერაციო ბლოკი - 40კვ/მ. აუცილებელია იქნეს უარყოფითი წნევა და ჰეპა-ფილტრები, ბლოკი აღჭურვილი სამედიცინო აირებით, სტერილური მასალის საწყობი ზონირების პრინციპის დაცვით ჭუჭყიანი და სუფთა თეთრეულის გადასაწოდებლად.

ქირურგიული განყოფილება:

საოპერაციო ბლოკი შედგება: შლუზი, დეკონტამინაციის ოთახი, პაციენტის მოსამზადებელი სივრცე, წინასაოპერაციო ბლოკი და საოპერაციო ბლოკი - 40კვ/მ. გათვალისწინებული უნდა იქნეს უარყოფითი წნევა და ჰეპა-ფილტრები, ბლოკი აღჭურვილი სამედიცინო აირებით, სტერილური მასალის საწყობი ჭუჭყიანი და სუფთა თეთრეული გადასაწოდებლად, ზონირების პრინციპის დაცვით.

პოსტ-ოპერაციული პალატა 2 საწოლზე, აუცილებელია უარყოფითი წნევა და ჰეპა-ფილტრები, პალატა აღჭურვილი სამედიცინო აირებით.

პოსტ-ოპერაციული პალატა, ისევე როგორც ქირურგიული ბლოკი, მიზანშეწონილია იყოს ერთიანი სამშობიარო განყოფილების შესაბამის სტრუქტურებთან.

საორდინატორო

20 კვ/მ. სველი წეტილით (ონკანი)

პოლიპროფილური პალატები:

გათვალისწინებული 7 საწოლზე, სამი 2 ადგილიანი და ერთი იზოლირებული შშმპ-თვის (ადაპტირებული სველი წეტილებით), ფართი 1 საწოლზე არანაკლებ 8 კვ/მ, საწოლებს შორის დაშორება 120სმ. პალატები აღჭურვილი დამოუკიდებელი სველი წეტილებით (ნიჟარა/უნიტაზი/დუში). ჰაერის იძულებითი გამწოვი სისტემით.

რეანიმაცია:

განლაგებული საოპერაციო ბლოკების მომიჯნავედ 4 საწოლზე, ორი ბოქსირებული (პედიატრიული და ინფექციური პაციენტებისათვის) იზოლირებული დერეფნისაგან, უზრუნველყოფილი სველი წეტილებით და სანიტარული ოთახით. გათვალისწინებულ იქნეს ჰაერის იძულებითი გამწოვი სისტემა, უარყოფითი წნევა, ჰეპა-ფილტრები და აღჭურვილი სამედიცინო აირებით.

სასტერილიზაციო:

ორი დამოუკიდებელი შესასვლელით, ზონირების პრინციპის დაცვისათვის ჭუჭყიანი შესასვლელი უზრუნველყოფილი სველი წეტილით, ჰაერის იძულებითი გამწოვი სისტემით. სტერილური ზონა აღჭურვილი სტელაჟებით.

არანაკლებ 30 კვ/მ.

სამრეცხო/საშრობი/სუფთა თეთრეულის საწყობი:

უზრუნვეყოფილი ჰაერის იძულებითი გამწოვი სისტემით, საშრობით და სუფთა თეთრეულის საწყობით - 20 კვ/მ.

გასახდელი პერსონალისთვის

15 კაცზე, სველი წეტილებით - 20 კვ/მ.

ამბულატორია:

რენტგენო-დიაგნოსტიკა 40 კვ/მ, მართვის ოთახი 5 კვ/მ. კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული,

ყელ-ყურის კაბინეტი

20 კვ/მ, მცირე საოპერაციო - 20 კვ/მ.

ოფთალმოლოგის კაბინეტი - 20 კვ/მ